საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2013 წლის 21 მაისის
დადგენილება №924

2012-2013 სასწავლო წლის მარტის,აპრილის,
მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში
სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებული
სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიანტთა
შერჩევის წესის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 10 აპრილის N122 ბრძანებით სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებისთვის 2013 წლის მარტის,აპრილის,მაისის, ივნისის და ივლისის თვეებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო 554 სტიპენდია განაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან 2013 წლის 21 მარტის მდგომარეობით, (დანართი);
2. სახელმწიფო სტიპენდია დაინიშნოს 2012-2013 სასწავლო წლის ზამთრის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე, დეკანის ბრძანებით შეიქმნას საკონკურსო კომისია სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სახელმწიფო სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომლებიც იხელმძღვანელებს შემდეგით:
   - სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 91% და მეტს;
   - სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
4. რომელიმე ფაკულტეტზე, ამ წესის მე–3 პუნქტში მითითებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების არასაკმარისი

რაოდენობის შემთხვევაში, გაუნაწილებელი სტიპენდიები პროპორციულად გადანაწილდეს იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ მათთვის დადგენილ კვოტებზე მეტი რაოდენობის საკმარისი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.

5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

დანართი

ფაკულტეტი	სტუდენტების რაოდენობა	პროცენტული წილი		სტიპენდიების რაოდენობა
სამშენებლო	893	6.792940818	37.6329	38
ენერგეტიკა ტელეკომუნიკაცია	1397	10.62680663	58.8725	59
სამთო-გეოლოგია	646	4.914042294	27.2238	27
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის	952	7.241746539	40.1193	40
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის	1308	9.949794614	55.1219	55
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის	481	3.658907653	20.2703	20
ბიზნეს ინჟინერინგი	4154	31.59896546	175.058	175
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების	3315	25.21679598	139.701	140
	13146	100	554	554